№ 181 აგვისტო 28, კვირა 1888 აგვისტო 28, კვირა № 181


გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ჩიქოვანის სავაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სა-პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


**დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა 1 სექტემბერს.**

ტფილისი, 27 აგვისტო

დღევანდელი გაზეთები განსაკუთრებით ბოლგარიაზე ლაპარაკობენ და, მართლა რომ ვსთქვათ, იმათი ლაპარაკი მეტად ნაღვლიანი და უიმედოა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთის იმპერატორმა და გერმანიისამ ინახულეს ერთმანეთი, რუსეთის მწერლობას იმედი მიეცა, რომ ორ იმპერატორთა თათბირს უეჭველად მოჰყვება ბოლგარიის საქმის დასრულება, ესე იგი კობურგის განდევნა ბოლგარიიდგან და ახალის მმართებლობის დადგენა. შემდეგ საფრანგეთის მწერლობამ ხმა დააგდო, ვითომ ბისმარკი და კრისპი დასთანხმდნენ იმაზე, რომ პრინცი კობურგისა განიდევნოს ბოლგარიიდგან და ამით რუსეთის გული მოიგონო, მაგრამ ამისდა მიუხედავად ბოლგარიის საქმე ისევ წინანდელს მდგომარეობაშია. როგორც სჩანს, ევროპა თითსაც არ დასძრავს ბოლგარიის საქმის დასასრულებლად. როგორც იწერებიან, სახელმწიფოებს არ ძალ-უძსთ, ან არა სურთ შესცვალონ თავიანთი პოლიტიკა ბალკანის ნახევარ-კუნძულზე. თვითონ ბოლგარელებსაც ან არ უნდათ და ან არ ძალ-უძსთ კობურგის განდევნა და ახალის მმართებლობის დადგენა. გამოჩენილი ბოლგარიელი მოღვაწე დრაგან ცანკოვი, რომელიც დიდი მოწინააღმდეგეა ბოლგარიის დღევანდელის მმართებლობისა და განსაკუთრებით კობურგისა და რუსეთის მომხრედ ითვლება, ამბობს, რომ ბოლგარელებს თავიანთის ძალ-ღონით არ შეუძლიანთ კობურგის მმართებლობის გადაყენება, რადგანაც ჯარი კობურგის ხელშია ; ერმა რომ პირდაპირი წინააღმდეგობა გაუწიოს მმართებლობას, ვერას გააწყობს, რადგანაც ჯერ კიდევ პრინც ბატენბერგმა აჰყარა თოფ-იარაღი ხალხსაო. ერთად-ერთი იმედი და ნუგეში ბოლგარიისა ისევ რუსეთია; მხოლოდ რუსეთს შესწევს ძალ-ღონე დღევანდელი მმართებლობა გადააყენოსო. რუსეთი მოვალეც არის, რომ ბოლგარიის ერს მოსარჩლეობა გაუწიოსო. ამაზე ერთი რუსის გაზეთი სამართლიანად ამბობს, რომ ბოლგარელებმა თვითონვე უნდა ეცადონ თავიანთი საქმე რიგისა და წესისამებრ მოაგვარონ, თუ მართლა კმაყოფილნი არ არიან დღევანდელის მმართებლობითაო.

მართლადაც, რუსეთს არ შეუძლიან ძალ-მომრეობა იხმაროს ბოლგარიაზე, ერთი იმიტომ-რომ ძალ-მომრეობა გონიერის პოლიტიკის წინააღმდეგია და მეორეც იმიტომ-რომ ევროპა ამ გვარს ძალ-მომრეობას და პატარა ერის დაჩაგვრას ცუდის თვალით შეხედავს, მით უფრო, რომ რუსეთის გამარჯვება და გაბატონება ბალკანის ნახევარ-კუნძულზე მაინც-და-მაინც არ ესიამოვნება. რუსეთის მწერლობას ეს კარგად ესმის და სამართლიანად ამბობს, რომ ბოლგარიის საქმე იმ დრომდე არ გადასწყდება, სანამ გერმანია არ მოინდომებს კობურგის განდევნასაო. დიად, საქმეც ის არის მოინდომებს თუ არა გერმანია ბოლგარიის საქმის დასრულებას. მართალია, გერმანიამ გამოაცხადა, რომ სლავიანთა სახელმწიფოთა საქმეებში უპირატესობა რუსეთს ეკუთვნისო, მაგრამ გერმანია არასოდეს არ გასწირავს ავსტრიას, რომელსაც თვალი უჭირავს ბალკანის ნახევარ-კუნძულზე. დარჩა ოსმალეთი და ავსტრია, რომელთაც ხმა აქვსთ სლავიანთა საქმეებში, მაგრამ ოსმალეთი ძალას ვერ იხმარს ბოლგარიის მმართებლობის წინააღმდეგ და ერთს მხედარსაც ვერ შეიყვანს ბოლგარიაში. ოსმალეთმა რომ ძალა იხმაროს, მთელი ბოლგარია ფეხზე დადგება, მით უფრო, რომ ბოლგარიას ჯერ კიდევ არ დაუვიწყნია, რომ რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ოსმალეთი უმოწყალოდ სთელავდა პატარა ერს. გარდა ამისა არც ევროპა დასთანხმდება იმაზე, რომ ოსმალეთი თოფ-იარაღით ჩაერიოს ბოლგარიის საქმეებში. ავსტრია ხომ ვერაფრით ვერ დასთმობს თავისს ინტერესებს ბალკანის ნახევარ-კუნძულზე და, მაშასადამე, რუსეთსაც ვერ მოურიგდებაო. ასე და ამ გვარად ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ ვერავითარი სახსარი ამ დაუსრულებელის საქმის დასასრულებლად. აი, ამიტომაც ამბობენ, რომ ბოლგარიის საქმე ჯერ კიდევ დიდხანს არ გადასწყდებაო და ისევ და ისევ ძველს მდგომარეობაში იქნებაო.

გაზეთი „Новости" დღეს პირდაპირ ამბობს, რომ მორიგება რუსეთსა და ავსტრიას შორის ყოვლად შეუძლებელია და თუ ავსტრიას მაინც-და-მაინც უნდა რუსეთს დაუმეგობრდეს, პირველად თვითონ უნდა გაუწვდინოს ხელიო; რუსეთი-კი პირველი თავს არ დაუკრავს ავსტრიას, რადგანაც ავსტრიას მეტი ისტორიული უფლება აქვს ბალკანის ნახევარ-კუნძულზედაო. ავსტრიის გაზეთები იმ აზრისანი არიან, რომ ავსტრიას არავითარი შეცოდება არ მიუძღვის რუსეთის წინაშე და, მაშასადამე, რუსეთმა უნდა ჩამოაგდოს ლაპარაკი მორიგებაზეო.

ამას წინად ერთს რუსულს გაზეთს სწერდნენ ლვოვიდგან, რომ პოლონური გაზეთები ეხლა უფრო თავაზიანად და ზრდილობიანად ლაპარაკობენ რუსეთის პოლიტიკაზეო. ერთმა რუსის გაზეთმა შენიშნა: ეს იმისი შედეგია, რომ ალბად ავსტრიის მმართებლობამ დაავალა პოლონურს გაზეთებს ზრდილობა და თავაზიანობა რუსეთის მიმართ, რადგანაც ავსტრია მიჰხვდა, რომ რუსეთს უნდა მოურიგდესო. ეგეთი აზრი რუსულის გაზეთისა ძალიან იწყინა ერთმა ავსტრიის ოფიცოზურმა გაზეთმა. ეს გაზეთი ამბობს: რუსეთის მწერლობა ძალიანა სცდება, თუ ჰფიქრობს, რომ კალნოკს, ან სხვა რომელსამე ავსტრიელს მინისტრს ჩვეულებად აქვს უბძანოს გაზეთებს ესა-და-ეს ილაპარაკეთო. თუ ამ ჟამად პოლონერი გაზეთები რუსეთს თავაზიანად და ზრდილობიანად იხსენიებენ, ეს პოლონერ გაზეთების ნება-ყოფლობაზეა დამოკიდებული და არა მმართებლობის ბძანებაზეო, ე. ი. ავსტრიის მმართებლობა შეჩვეული არ არის ძალა დაატანოს მწერლობას, რომელმაც თავისუფლად უნდა წარმოსთქვას საზოგადო აზრიო.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

** გუშინდელს ნომერში მოხსენებული იყო, რომ ტფილისის სასულიერო სემინარიაში ცოტაა მოსწავლეთათვის სახელმწიფო ვაკანსია და მთხოვნელი-კი ბევრია, რომლებსაც არავითარი სახსარი არა აქვსთ სემინარიაში სწავლა განაგრძონ. ამიტომ რექტორმა სემინარიისამ, არქიმანდრიტმა პაისიმ სთხოვა მისს მაღალყოვლად უსამღვდელოესობას პავლედის იშუამდგომლოს, სადაც ჯერ არს, რომ მოუმატონ სახელმწიფო ვაკანსიები. თხოვნა რექტორისა შეიწყნარებია ეგზარხოსს და კიდეც განზრახვა აქვს იშუამდგომლოს. ჩვენ ვგატყობინებენ, რომ სემინარიაში სწავლა დაიწყება ხუთს ენკენისთვესაო.

** როგორც შევიტყეთ, ტფილისის სამრეკლო სკოლებს სექტემბრიდამ მოემატება კიდევ ერთი სკოლა, რომელიც გაიმართება ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოხელეთა შვილებისათვის. მოთაოსნობა ამ საქმეში ეკუთვნის რკინის გზის მღვდელს, პატივცემულს მამა იროდიონ ნანობაშვილს, სკოლა იქნება ორ-კლასიანი და სწავლას დაამთავრებს შეგირდი ოთხს წელს. ამასთანავე, რა-კი სკოლა შეასრულებს თავისს პროგრამას და შეგირდი მიიღებს მოწმობას, ასეთის მოწმობით შეგირდს მიენიჭება უფლება უეგზამენოდ შევიდეს ანუ სა-

## ფელეტონი

### ძველი და ახალი თაობა

დამქროლა ქარმან სასტიკმან,
თან წარმიტანა ყვავილი.

ნ. ბარათაშვილი

**V**

როგორც მკითხველმა იცის, ჩვენა ვლაპარაკობთ იმ თერგ-დალეულებზე, რომელნიც დაიბადნენ ოც-და-ათიან წლებში, აღიზარდნენ საქართველოში, შემდეგ წავიდნენ რუსეთს, სადაც დაიმთავრეს თავიანთი სწავლა-განათლება, და სამოციან წლებში კვლავ დაბრუნდნენ საქართველოს.

რაც უნდა დიდ-ბუნებოვანი და დიდის გენიოსობის ღირსებიანი იყოს კაცი, იგი ყოველთვის ექვემდებარება დროსა და გარემოებას და ჟამთა-ვითარება ყოველთვის დააჩნევს თავის ბეჭედს. ამიტომაც თუ გინდათ, რომ უკეთ წარმოიდგინოთ ძალა და ღირსება თერგ-დალეულისა, ჯერ უნდა იცოდეთ, რა თვისებისა და ხასიათისა იყო ის დრო, როდესაც თერგ-დალეულმა პირველად გაახილა თვალი, პირველად ამოიდგა ენა, პირველად ამოქმედა და ასაზრდოვა თავისი ჭკუა და გონება. ამისთანა გამოკვლევა უნდა მიიყვანოთ იმ დრომდე, როდესაც თერგ-დალეული დავაჭკაცდა თავისას შეხედულობით ქვეყანაზე, შეადგინა თავისი იდეალები და კიდეც შესდგა ფეხი ცხოვრებაში, რათა ეს იდეალები, ასე თუ ისე, განეხორციელებინა თავის ქვეყანაში.

საზოგადოდ ამ საუკუნის ისტორია ძალიან მცირედა გვაქვს შესწავლილი და ძალიან ცოტა მასალაცა გვაქვს ხელში, მაგრამ ის-კი ყველამ ვიცით, რომ ოც-და-ათიან და ორმოციან წლებში ქართველი ოჯახი ჯერ კიდევ საკმაოდ ღონიერს ეკონომიურს ძალას წარმოადგენდა, ჯერ ასრედ წოდებულს ცივილიზაციას არ ჩამოექრა იმისათვის ჯიბე-უბე. ქართული ზნე და ხასიათი, ჩვეულებანი ჯერ ისევ ხელ-უხლებელნი იყვნენ. სტუმართ-მოყვარეობა და გულ-უხვობა არა სცილდებოდა იმ საზღვრებს, რომელიც ლაზათიანად იყო მოთავსებული მხოლოდ შემოსავლის სიდიდეში, რასაც იძლეოდა მაშინდელი მეურნეობა, ერთის სიტყვით, ხარჯი არ აღემატებოდა შემოსავალს, რადგან იმ დროინდელი ხარჯი იყო კაი პური, კაი ღვინო, კაი ყველი, კეთილი გული, შინაური ხალი, გძელი ტახტი, ჭრელი სუფრა და ხალიჩა. მაშინდელი წყნარი მოთხოვნილება ამას არა სცილდებოდა, და აბა იმ დროს რომელ თავადსა და აზნაურს აკლდებოდა კაი პური, კაი ყველი, კაი ღვინო და ნამეტნავად კეთილი გული. ამასა სჯერდებოდა მაშინდელი სტუმარიცა და მასპინძელიც და ამიტომ სტუმართ-მოყვარეობას არა ჰქონდა თავის შედეგად ის, რომ ერთისა და ორის წვეულობით დალუპულიყო და ძირს დაცემულიყო მთელი შეძლებული ოჯახი, როგორც მოხდება ხოლმე დღეს თითქმის ყოველს ნაბიჯზე. სტუმარს არ გაურბოდა მასპინძელი და მასპინძელს სტუმარი. ერთმანეთთან ოჯახობით მისვლა-მოსვლა არაფისათვის არ იყო სამძიმო და საზიანო არა თუ სოფლად, არამედ ქალაქებშიაც. ოჯახი ქონებრივად არ იყო გაჭირებაში. ოჯახი იყო პატრიარქალური და დაურღვეველი. ამიტომაც მართალია საქმე აღარა ჰქონდა-რა ჩვენს თავად-აზნაურის ოჯახს, მაგრამ უწინდელი დროს გატარება მაინც თითქმის ხელ-უხლებელი დარჩა... დარბაისლური და მოხდენილი ქართული ენა შეუმწიკვლელად ჰბძანებლობდა ქართულს ოჯახში. მეტადრე ქალები სულ იმაში ატარებდნენ მოცლილს დროს, რომ ან თითონ ამბობდნენ მრავალს ზღაპრებსა და აქიებს, ან სხვებს ათქმევინებდნენ, ან კითხულობდნენ ერთადა და ხმა მაღლა უსაყვარელესს ნაშთს ჩვენის წარსულის ლიტერატურის დიდებისას, „ვეფხის-ტყაოსანს", „ვისრამიანს" და სხვებსა. უსუსური ბავშვები ისხდნენ დედის კალთის ქვეშ და ისმენდნენ საუნჯეს ქართულის ენისას...

**

ოჯახური გარემოება თერგ-დალეულისა იყო ასეთი. პირველ ხანებში რუსეთის მთავრობა, როგორც ვიცით, დიდს მეცადინეობასა ხმარობდა, რომ როგორმე სწავლის ხალისი აღეძრა ქართველ თავად-აზნაურობაში. ამ განზრახვით აშენებული იყო ტფილისში ჯერ კეთილშობილთა სასწავლებელი, მერე გიმნაზიად გადაკეთებული, სადაც ორის ხელით იღებდნენ ყმაწვილებს და ასწავლიდნენ როგორც ქართულს, აგრეთვე რუსულსაც. ოღონდ-კი ესწავლა რამე ჩვენს შვილსა, და არა ღონის-ძიებას არ ერიდებოდა მთავრობა. ჩვენს ყმაწვილს ეძლეოდა ყველაფერში უპირატესობა, სასწავლებლის მთავრობა აქეზებდა, ახალისებდა, ეალერსებოდა, ულოლიავებდა, ოღონდ-კი ახალგაზდა შერჩენოდა სასწავლებელს და იქ დაემთავრებინა ცოტა თუ ბევრი განათლება. მე არაფერს მოგახსენებთ იმაზე, თუ რა ღირსებისა იყო მაშინდელი სწავლება და საგანი სწავლისა. მე ვამბობ მხოლოდ იმას, თუ როგორის გულითა და სულით ეკიდებოდნენ ქართველს მოსწავლეს, რომელსაც ოჯახში მოელოდდა გამუდმებული სიტკბოება და სასწავლებელში კიდევ—ალერსი.

ამისთანა გარემოებაში გაათავა ჩვენმა ახალგაზდამ საშუალო სასწავლებელი. ამავე დროს საქართველოს ოჯახებში გავრცელებული იყო ხელთნაწერი ლექსები ჩვენის სახელოვან პოეტებისა: ბესიკისა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გრიგოლ ორბელიანისა და სხვებისა. ეს ლექსები ზეპირად იცოდნენ მწიგნობრებმაცა და წიგნის უცოდინარებმაც... იგინი იზიდავდნენ ქართველის გულსა როგორც თავიანთის აზრით, აგრეთვე სიმშვენიერითა და ლაზათით. ეს ლექსები გადიღეს სხვა-და-სხვა საყვარელ ხმებზე და იმათი სიმღერა გაისმოდა როგორც სუფრაზე, აგრეთვე მთვარიან ღამეებში სეირნობის დროსა, მღეროდნენ ქალიცა

ქალაქო სკოლის მესამე კლასში, ანუ რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში და სხვაგან მესამე კლასშივე. სასწავლებლის კომიტეტს განზრახვა აქვს მოიწვიოს ჯერ მხოლოდ ერთი მასწავლებელი, რომლისათვისაც უკვე დანიშნულია თთვეში ხუთი თუმანი, სადგომი სახლი, შეშა და მოსამსახურე. ამ ფულით იმედი აქვსთ კარგი მასწავლებელი იშოვნონ, რომ ახალი საქმე მტკიცე ნიადაგზე დააყენოს. შემდეგ, თუ სკოლა კარგა წავიდა, მასწავლებელთა რიცხვს მოუმატებენ. მსურველნი სკოლისა ბევრნი არიან თურმე, ნამეტნავად მუშა ხალხი, რომელიც სცხოვრებს თუ ტფილისში და თუ სხვა-და-სხვა სადგურებზე. სკოლა იქნება ტფილისში. სიშორე რკინის გზის სადგურებისა არ შეუშლის ხელს მოსწავლეთ, რადგან საქონლისა თუ ხალხის მატარებელი ხშირად ჩამოდის ტფილისში და ხშირადვე გადის. თანხა სასწავლებლისა შესდგება მოხელეთა ხელის მოწერით. უკვე სამოც-და-ათს მაღალ მოხელეს მოუწერია ხელი და გამოუცხადებია სურვილი, რომ ხვედრი ნაწილი ჯამაგირში დაუჭირონ ხოლმე თთვე და თთვე სკოლის სასარგებლოდ. იმედი აქვსთ, რომ ასეთ ხელის მომწერთა რიცხვი რამდენსამე ათასამდე ავა. რაკი ერთი დონეზე დადგება საქმე, შემდეგ განზრახვა აქვსთ ააშენონ საკუთარი სახლი სკოლისა, რაიცა მოსახერხებელია იმ მასალით, რომელიც აღარ გამოადგება რკინის გზას. პირველ დაწყებითს სწავლასთან უნდათ პრაქტიკულად შეაჩვიონ შეგირდები სხვა-და-სხვა ხელობასაც.

*** სათავად-აზნაურო ბანკის თეატრის გადაკეთება ამ ჟამად თითქმის დამთავრებულია, მხოლოდ აქა-იქ კედლები უნდა შეღებონ, თორემ ყოველისფერი მზად არის. თეატრს კარგი შეხედულობა აქვს, მეტადრე ძლიერ მოხერხებული და ლამაზია ახლად გადაკეთებული ლოჟები.

26-ს საღამოს შვეიცარიიდგან ჩამოიტანეს ელექტრონის მაშინა თეატრის გასანათებლად.

*** გრაფ უვაროვის მეუღლემ აქაურ წიგნის მაღაზიებს გამოუგზავნა თავისი ახალი თხზულება „მგზავრის შენიშვნები". ამ მოზრდილს წიგნში მოქცეულია არქეოლოგიური, ეტნოგრაფიული, გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები ქართველებსა, ოსებსა და სომხებზე. ეს ცნობები ავტორს შეუკრებია თავის მოგზაურობის დროს კავკასიაში 1879—1881 წ. ავტორი დიდის თანაგრძნობით იხსენიებს საქართველოსა და ქართველებს. წიგნში აღწერილია საქართველოს შესანიშნავი ქალაქები, ციხეები და ეკკლესიები; მოსწონებია აგრეთვე ქართული ხუროთ-მოძღვრება, ქანდაკება და ჩუქურთმა: ქართულის ერის დიდებას ხმა მაღლა ჰღაღადებს ქუთაისის ტაძარი, აშენებული ბაგრატ მე-III-ის მიერო.

*** ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი **„ქუდა გლდანელი და ნესტორ ესებუა"**, მესტვირული ლექსი, თქმული ონელის მესტვირესი. წიგნი შეიცავს სულ თექვსმეტს გვერდს და დაწერილია ჩინებულის ლამაზის ლექსით, ასე რომ ფრიად სასიამოვნო საკითხავია. წიგნში ნაამბობია გლდანელისა და ესებუას უკანასკნელი ჭიდაობა, რომელმაც დიდი ლაპარაკი გამოიწვია ჭიდაობის მოყვარეთა შორის. ეს წიგნაკი უსურათოდ ღირს ერთი შაური და სურათით ორი. ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

*** **რუისი:** აქ პურის მოსავალი საზოგადოდ კარგი იცის. ნოტიო და ნამიანს წელიწადში სიმინდიც გვარიანად მოდის და ხელს აძლევს ხალხს ვენახები, თუმცა საკმაოდ არის, მაგრამ ღვინო დაბალის ღირსებისა მოდის და ვაჭრები ამ ღვინოს არ ეტანებიან. წელს აქაურს ვენახებს ნაკლებად ასხია. ამას კიდევ არა უშავდა-რა, რომ ნაცარი არ შეეყარა. ამის გამო, როგორც მთელს ქართლში, აქაც ღვინის ფასმა საკმაოდ მოიმატა.

*** **ქართლი:** თითქმის ყველგან ძალიან გაძვირდა ღვინო. ცხინვალში, მაგალითად, კოკა ღვინო იყიდებოდა 9—10 მანათად; ეხლა-კი 12—15 მანათია. ამ ორს-სამს თთვეში მთელს ლიახვის ხეობაზედ 8—9 მანათ ნაკლებ ღვინო არსად გაყიდულა. ცხინვალში ხომ, როცა გაიგეს ღვინის მუშტარი თ. ზაქარია ჯორჯაძე მოსულაო, თხუთმეტი და ოცი მანათი დაიძახეს კოკა. ბ-ნმა ჯორჯაძემ გასინჯა ცხინვალის ღვინოების ჰაშნიკები და არ მოიწონა: ეს ღვინოები სავაჭრო საქონლად არ გამოდგებაო; ერთს წელს თუ გადასცილდა, დაჭანგდება და დაძმარდებაო. შამპანიის ღვინის საკეთებლად-კი უკეთესი ღვინო აღარ შეიძლება, როგორიც ცხინვალის ღვინოაო.

*** **კაკაბი:** სოფ. სანებაში (მთაში) სცხოვრებს ერთი 105 წლის მოხუცი ოსი, გიგა ცარახოვი. მოხუცს ცოტა ყურს აკლია, თვალი-კი კარგად უჭრის, მუშაობითაც კარგად მუშაობს; უფროსი ვაჟი 62 წლისა ჰყავს.

სოფ. შანაევში სცხოვრებს ერთი 120 წლის მოხუცი ოსი, დუდა შანაევი. დუდას ცოტა ყურსა და თვალს აკლია, მაგრამ ცხენოსნობა დღესაც ისე შეუძლიან, როგორც კარგს ოც-და-ათის წლის ვაჟკაცს.

*** **ხოფ. ზილგე** (კავკავის მაზრა): ამ სოფელში შემდეგი საცოდაობა მოხდა: ერთის ოსის სახლში დედას ვახშმის წინათ თავისის შვიდის წლის ქალისთვის ლამპარი მიეცა და ეთქვა: წადი, ამინთეო. თვითონ გარეთ ყოფილიყო. ყმაწვილს შეეტანა სახლში ლამპარი და ცეცხლთან უნდოდა წაეწვინა ასანთებლად; ამ დროს ნავთი გადაღვრილიყო, გადასხმოდა ყმაწვილს და ცეცხლი მოსდებოდა. პატარა ქალს ისე შეშინებოდა, რომ ხმა ველარ ამოეღო; დაეწყო სირბილი სახლში და ბოლოს შესავალს კარებში დაცემულიყო. დედაც შესულა კარებში და წასდგომია თავს თავისს ცეცხლისაგან დარუჯულს საბრალო ქალს. ყმაწვილს ველარა ეთქვა-რა, მხოლოდ ორიოდე სიტყვა-ღა მოესწრო: «ალას» —ვკვდებიო, და გათავებულიყო.

## მგზავრის დღიურიდამ *)

ცოლის შერთვა თუშებს მოტაცებით სცოდნიათ. კვალს ძველის ქორწილისას ვპოულობთ ორს აწ დარჩენილს ჩვეულებაში: როცა მოდიან ნეფიისანი დედოფლიანთასა, პატარძალი შიგნი-შიგან ჰყავთ დამალული და იმის გამოსაყვანად (წინად მოსატაცებლად) ნეფიისანი ხმარობენ შემდეგს საშუალებას: იგინი შეისყიდიან დედოფლის ნათესავს დედაკაცს, ჩაუდებენ ხელში რამდენსამე მანეთს და ეს შესყიდული დედაბერი გამოიყვანს პატარძალს ხელ-ჩაკიდულს, რომ არსად გაიქცეს და ან არ გაიპაროს დაპატიმრებული ქალი. მეორე კვალს ძველის ჩვეულებისას, რომელიც თანაუძღვის ქორწინებას, ვხედავთ ერთს ღირს-შესანიშნავ გარემოებაში: როცა დედოფალს ეკკლესიიდგან ნეფიანთსა მიიყვანენ, მაშინ აქ, სახლის წინ, გააჩერებენ ხელსახოცით ხელ-მოკიდებულებს ნეფე-დედოფალს; ესენი იმდენს ხანს იცდიან გარეთ, ვიდრე მომზადებულსა და ანთებულს მაშხალას ქალის მაყრები არ გააქრობენ თოფების სროლით; მხოლოდ ამას შემდეგ შეუძლიანთ ნეფე-დედოფლის სახლში შეყვანა და ვახშმის გაშლა. პატარძალს ამ დროს მაყრები და მიწვეული სტუმრები მიულოცავენ ფულს, ნეფეს მიართმევენ წინდებს. მეორე დღეს დედოფალს აუხსნიან პირბადეს და გვირგვინებს ახლად ჯვარ-დაწერილებს. დროს გატარება სამი-ოთხი დღე გრძელდება.

ქორწილის მესამე დღეს დედოფალი მიდის მამის სახლში და იქ დარჩება კვირაობით, თვეობით, წლობით; შემდეგ ქმარს მიჰყავს ცოლი თავისს სახლში. ქორწილს, რასაკვირველია, წინ უძღვის ნიშნობა. დანიშნულები დიდხანს არ ელიან ქორწილს: ხშირად ორს კვირაზე მეტი არ გადის, რომ ნეფიისანი კაცს უგზავნიან დედოფლიანთ მოვდივართ და მოემზადენითო.

მივაქცევთ ყურადღებას მიცვალებულის დამარხვის წესსა და ჩვეულებას. ქმრის დამარხვის დროს ცოლი დამალულია, მამის სიკვდილზე ქალი არ დაიმალება. მიცვალებული, თუ მამაკაცი იყო და, მაშასადამე, თუშის წარმოდგენით, მეომარი, მიმსვლელები მიუტირებენ ჭირისუფლებს და ცხედარს მიჰმართავენ სიტყვებით: „ეი, ვაჟკაცო, ვაი შენი ბრალი, მხედარში გამოაკლდიო". შესაწირველი მოაქვსთ მომსვლელთ შეძლებისამებრ: პური, ფული, ცხვარი, ლუდი და სხვ. ნათესავები მიცვალებულისა შავებით იმოსებიან, ქალები თმას იშლიან, კაცები წვერსა და თმას იყენებენ ხანდახან წლამდე და ამიტომ ხალხი უწოდებს იმათ „წლის ბერებს". მძიმეთ ავადმყოფს თუშს აზიარებენ ხევის-ბერები თავისებურად: ლუდითა და პურით. ამ ზიარებას, თუშების აზრით, განმკურნებელი თვისება აქვს. თუ ავადმყოფს აღარა ეშველა-რა და მოესწრაფა სიცოცხლე, მაშინ დასდებენ იმისს გვამს საკაცეზე, დახურავენ ზეიდგან ნაბადს, როგორც თვით თუში ამბობს თავისს ლექსში:

**გამაკვრენ საკაცეზედა,**
**ნაბადს დამხურვენ ჩემსაო.**

გულზე დაადებდნენ ნალს, გვერდით მოუწყობდნენ თოფს, ხმალსა და ფარ

*) იხ. „ივერია" № 177.

---

და ვაჟიც, ბებერიცა და ახალგაზდაც, ქალაქებშიაცა და სოფლებშიაც...

იმ დროებში თითქმის სამოცამდე ქართველმა ახალგაზდამ გასწია რუსეთისაკენ უმაღლესის სწავლის მისაღებად. თერგის მდინარეზე გამოეთხოვნენ თავის სამშობლო ქვეყანას, იგემეს თერგის წყალი, რომელმაც იმათ მიანიჭა ახალი სახელი «თერგ-დალეულთა».

როგორცა ენახავთ, თერგის წყალმა ჩვენი ახალგაზდები არც დასცადა, არც აწყინა და მარგებელადაც გაუჯდათ ჯანში...

**

მაღალ სასწავლებლებში ხომ არავითარი დაბრკოლება არ აღმოსჩენიათ, რომ შესულიყვნენ და ესწავლათ. იმოდენა ახალგაზდობა დარიგდა სხვა-და-სხვა სამეცნიერო ნაწილზე. უმეტესობა მათში შეძლებული იყო, დედ-მამა ცივ ნიავს არ აძენდა, შეუძლებლებს-კი ან ამხანაგები ჰშველოდნენ, ან სახელმწიფოთ იზრდებოდნენ. მაშინდელი უნივერსიტეტი ბრწყინავდა საუკეთესო პროფესორებითა და მოხელეებით, ასე რომ მოსწავლეს სხვა ბედნიერება აღარა აკლდა-რა, რომ კარგი სწავლაც მიეღო და საუკეთესო მოქალაქეც დამდგარიყო, და ამასთანავე მაშინ მოსწავლე ახალგაზდას, უნივერსიტეტის სიკეთესთან მხარ-და-მხარ, უხვად გადაშლილი ჰქონდა მრავალი სხვა საზოგადოებრივი სიკეთე და ბედნიერება...

ეს ის დრო იყო, როდესაც განათლებულმა რუსეთის მთავრობამ მისცა თავისი ღონიერი ზურგი რუსეთის დაწინაურებულ აზრის განხორციელებას შესახებ ბატონ-ყმობის მოსპობისა. ამავე დროს ათას გვარი რეფორმა აგულიანებდა რუსეთის მთავრობას შესახებ სათანადო სამართლის დადგენისა, ერობათა დაარსებისა და მრავალი ამ გვარი საგანი. მთელი რუსეთის აზრი გამოფხიზლებული იყო და ყველას პირზე ეკერა ქვეყნის გაძლიერება, საზოგადო ბედნიერება და წარმატება. გაძლიერდა და გაიწია რუსეთის გონების თვალმა. მრავალი ნაკლი ეჩხირებოდა ყოველს მკვლევარს და აღძრავდა მასში დაუშრეტელს წადილს უკეთესისას. ამავე დროს გაიღვიძა აზრმა ქალის მდგომარეობის განკარგებისამ. ქალთა ემანსიპაციის წყურვილი აღეძრა არა მარტო თვით ქალებს, არამედ დაწინაურებულ კაცებსა და მთავრობასაც. ყოველი მოაზრე კაცი იმის ქადაგებაში იყო, რომ ქალებისთვისაც გაემართათ უმაღლესი სასწავლებელი და სხვანი.

მაშინ მთელს რუსეთში და ნამეტნავად მოსკოვსა და პეტერბურგში ყოველი ნასწავლი და მოსწავლე კაცი გატაცებული იყო საქვეყნო და საპოლიტიკო საქმეებით. აზრი, სიტყვა, საქმე გამხნევდა და გაძლიერდა და ვისაც შეეძლო, ყველა ჰქადაგებდა ახალს აზრს, ახალს ცოდნასა და მეცნებას, როგორც მწერლობაში, აგრეთვე საზოგადოებაში. პატივი, დიდება და სახელი იმ მოსწავლეს ჰქონდა, რომელიც სასწავლებელ საგნებთან ერთად თვალ-გაფაციცებული ყურს უგდებდა ახალს მოძღვრებას, განუწყვეტლივ ხელში ეჭირა ამ მოძღვრებათა საუკეთესო გამომთქმელი ჟურნალ-გაზეთები და საზოგადოების მეცნიერებათა თხზულებანი. ამ გზით სულ რამდენისამე წლის განმავლობაში რუსეთის აზრი ისე დაწინაურდა და ისეთი დიდი ნაბიჯი გადასდგა, რომ სამოციან წლების რუსული ლიტერატურა თითქმის მისწვდა ევროპის დაწინაურებულ ხალხთა ლიტერატურას. ამ ბედნიერმა დროებამ არა თუ მარტო პოლიტიკურად ასწია რუსეთის დაწინაურებული აზრი, არამედ მეცნიერებაშიაც ძალიან თვალსაჩინო ნაბიჯი გადაადგმევინა. მაშინდელნი მნათობნი რუსეთის მეცნიერებისანი დღემდე ანათებენ და ჯერ დიდხანს იქნება იმათი ხსენება.

**

ახლა შეჰხედეთ, რა მდგომარეობაშია თვით ევროპა იმ დროს, როდესაც ჩვენი თერგ-დალეული იმყოფება გარეშე თავისის ქვეყნისა და ჯერ ისევა სწავლობს. აგერა პირველი მინისტრი პიემონტისა, გრაფი კავური, ეს სახელოვანი ბისმარკი თავისს დროის დიპლომატიისა,—აგერ უწარჩინებულესი ხელ-მძღვანელი იტალიის აღორძინებისა, ღვაწლით შემოსილი მაძინი,—აგერა დიდებული სარდალი და უდიდესი პატრიოტი გარიბალდი,—რომელნიც იყვნენ უკეთესნი წარმომადგენელნი გამოფხიზლებულის იტალიისა და რომელთა გამარჯვებასაც ჰნატრობდა მთელი იმ დროინდელი განათლებული ნაწილი ევროპისა საზოგადოდ და რუსეთისა კერძოდ...

პოლიტიკიდამ რომ გადაჰხედოთ ახლა მეცნიერებას, აქაცა ჰნახავთ ევროპის აზრის განსაკუთრებულს ძლიერებასა და სიდიადეს. ჯერ ხომ იყო და, ბოკლის წერილებმა შესახებ ისტორიისა, შესახებ კაცისა და საზოგადოების მნიშვნელობისა ცხოვრებაში სრულებით გადმოაბრუნა განათლებულთა და ნასწავლთა შეხედულებანი და აზრი ხალხთა ავ-კარგიანობის უმთავრესს საგნებზე. ბოკლის წერილებმა სრულებით სხვა, ახალი შუქი მიაყენა ცხოვრების ვითარებას, ახალი საზრდო მისცა განათლებულთა ჭკუასა და გონებას, და ამ საზრდოს დაეწაფა არა მარტო ის, რომელიც შეჩვეული იყო მსჯელობას, არამედ ისიც-კი, რომელსაც სწავლა მიაჩნდა მხოლოდ ლუკმა-პურის წყაროდ, არც მეტად და არც ნაკლებად. დარვინის თეორიებმა ხომ სულ ერთიან გადმოაბრუნა ყოველ გვარის მეცნიერების საძირკველი და დედაბოძი, გადიშალა სრულებით ახალი სანახავები გონებისა და თვალის სავარჯიშოდ, გაიზარდა და გამაგრდა განათლებულ კაცის თვალთა ხედვის ისარი, ყოველს ნასწავლს კაცს აეშალა საღერღელი ფიქრისა, დაკვირვებისა, გამოძიებისა და მსჯელობისა. მთელი ევროპა და ამერიკა ააყაყანა და შესძრა ახალმა მოძღვრებამ. აზრთა მოზღვავება ისეთი ძრიელი იყო, რომ იმისმა ტალღებმა მისწივ-მოსწია ჭკუა და გონება არა მარტო იმათი, ვისაც გზა და ადგილი ჰქონდათ უმაღლესს სასწავლებლებში, არამედ საშუალ სასწავლებლის უმცროსს კლასთა შეგირდებამდისაც-კი მიაღწია და იქონია მეტ-ნაკლები ზედმოქმედება...

**

აი სწორედ ამისთანა დროსა სწავლობდნენ ჩვენი თერგ-დალეულები რუსეთში და ამისთანა გარემოება ჰქონდათ, სწორედ იმ ასაკში, როდესაც კაცის სული და გული მზაა მიიღოს ყოველი სიკეთე და შეითვისოს, რასაც-კი შესწვდება და რაც-კი მიიზიდავს იმის აზრსა თუ გრძნობას. სამოციან წელთა სტუდენტს რომ ხალისიც არა ჰქონდა სწავლისა, სულაც რომ მხართევანზედ ყოფილიყო წამოწოლილი და ყალიონის წევის მეტი არა გაეკეთებინარა, მაინც გარემოება ისეთი იყო, მაინც ისეთს ჰაერში ჰტრიალებდა, რომ ძალაუნებურად უნდა დღითი-დღე ჩასწვეთებოდა იმას დიდ ბუნებიანი აზრები, იდეალები ქვეყნის წარმატებისა, წყურვილი პატიოსნურის მოქმედებისა, სიყვარული მოყვასისა და ხალხისა...

ასეც მოჰხდა. ჩვენი თერგ-დალე-

სა, ცხენს შეჰკმაზავდნენ შავად და გააყოლებდნენ სასაფლაოზე. ყველა ეს სამკაულია და უსაჭიროესი იარაღი მეომარის თუშისა, რომელიც ძველის დროიდგანვე მხედრობაში განთქმულია: იარაღს იგი ყველაფერზე მეტად აფასებს. შვიდზე, ორმოცზე გაიმეორებენ საყოველთაო ქელეხს, მიჰყავსთ კიდევ ცხენი მიცვალებულის საფლავზე და წლის თავზედ ჰკითხავენ მკითხავს, თუ განსვენებულის ცხენი ვის მიეცეს. „სული თხოულობს, რომ მისცენ ამასაო“, ამბობს მკითხავი (იმას, ვინც შეისყიდის მკითხავს). წინად-კი, ახსოვთ, ცხენი ყოველთვის მიეცემოდა დედის ძმას.

ამ ძველს ჩვეულებაში, რომლის ძალითაც ცხენი დედის ძმისათვის უნდა მიეცათ, ვხედავთ კვალს ეგრედ წოდებულის მატრიარხატისას, რომელიც წინ უძღვის პატრიარხატს. მატრიარხატი ის ხანაა კაცობრიობის ცხოვრებისა, როდესაც ნათესაობა, გვაროვნობა მიდიოდა დედის შტოზე.

სულის დასამშვიდებლად მიცვალებულების პატრონები ჰმართავენ დოღს; დოღში 12—15 ცხენია. საჩუქრად პირველად მისვლა ცხენისთვის დადებულია სამი ცხვარი, შემდეგის ორის ცხენისთვის—ხუთი ცხვარი, უკანასკნელის ცხენისათვის გადადებულია ათი შაური. თოფის სროლაშიაც დანიშნულია ფეშქაში. პირველად მომრტყმელისათვის ჭედილა, მეორეს—ჩითები—მთაში ჩასაცმელი სქელი წინდები, მესამეს—წინდებივე, მეოთხეს—ხელსახოცი.

მიცვალებულის სულისთვის სადილვახშამზე გადიდება საჭმელი, სული ახლაც სახლში მყოფ არსებად მიაჩნიათ. ამ სულს შეუძლიან სახლისთვის კეთილის მოტანა იმის მიხედვით, როგორის პატივის ცემით იგონებენ და ისვენიებენ მიცვალებულს წევრს ოჯახისას. ამ სულის გარდა თუშის სახლს დაჰპატრონებიან და ყოველს იმისს ფეხის გადადგმას ჰმართვენ აურებელი მავნე და კეთილი არსებანი. მავნე სული შეიტყუებს მონადირეს უგზო-უკვლო ტყეში, კეთილი არსება-კი შველის თუშს უხილავად, შეუმჩნევლად.

სამოთხისა და ჯოჯოხეთის წარმოდგენა შერყვნულია ქრისტიანობის ზედგავლენით. საიქიოს თუში უწოდებს სულეთს, ადგილს, სადაც მიცვალებულთა სულები განისვენებენ. სულეთს მფლობელობს „ბატონი“, რომლის წინაშე არა-რა დაიმალება. ეს ბატონი გვაგონებს რომაელების ღმერთებს ქვესკნელისას. სულეთის წინ „მეუფროსეები სხედან“. მიმსვლელები თავს უკრავენ ამ „მჭრელ მოსამართლეებს“, რომელთაც ხელში უჭირავსთ მაკრატელი *) და ყველას თითოოროლა ბეწვს აჭრიან. ხალხი ამბობს:

სულეთს სხდეს მოსამართლენი,
მოსამართლენი მჭრელიო,
ხელათ უჭირავთ მაკრატლებ,
ბეწვის ოროლის მჭრელიო...
სამჯერ შეუარ სულეთსა,
ვერ მოუხელე კარიო.

სულეთის კარების პოვნა ძნელია: სულეთში ჯოჯოხეთი და სამოთხე გაყოფილნი არიან ანთებულის კუპრის წყლით. ამ საშინელს მდინარეზე გადებულია ბეწვის ხიდი, ამაზე „ცოდვიანი რომ შესდგება, მოსწყდება და ჩავარდება“; იწვის ამის შემდეგ უბედური სული დაუსრულებლივ გაშმაგებულს ალში. ჯოჯოხეთში იტანჯებიან ისინი, ვისაც ღირსეულად არ გაუტარებიათ თავიანთი სიცოცხლე: ცოდვის მქნელს „უდებენ ენის წვერს კუპრის ქვაბში“, რომელსაც „გარს უკიდია გენია“; სამნის შემრყევი ჯოჯოხეთში ისჯება იმითი, რომ იმას ზურგზე ჰკიდებენ მძიმე ქვებს:

სამნის, სამძღვრისა შემრყევსა
ზურგზე აჰკიდეს ქვანიო.

ნათლის დედის შემცოდველი, ხალხის წარმოდგენით, შეუწყალებელი დამნაშავეა.

მას გამოსჭრიან სამწვადესა,
შიგ უყრიან დანის წვერსა.

ტყუილს მთქლს ენის წვერს მოსჭრიან:

მოკვნეტენ ენის წვერია,
რათ არ იუბნე სწორია.

როგორც ჰხედავთ, თუშების საიქიო გვაგონებს დანტეს „ჯოჯოხეთს“, სადაც სხვა-და-სხვა დამნაშავესათვის სხვა რიგი სასჯელია განწესებული.

ორიოდე სიტყვა ხატობაზე: ხატობა, როგორც მაგალითად ლაშარობა, თუშებს ძალიან უყვართ. ქალი და კაცი მორთული მიდის ამ დღესასწაულში. კაცები იცმენ საუკეთესო ჩოხებს, ქალები „ჯუბებს“—ვიწრო შალის კაბას, ძვირფასის გულისპირით, რომელსაც უწოდებენ „სამკაულს“. ლხინსა და დროს გატარებას დასასრული არა აქვს.

ა. ხახანაშვილი

(შემდეგი იქნება)

---

*) ბერძენთა ღმერთი პერსეფონა, ანუ „პარკები“.

---

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფელი ვანათი (პატარა ლიახვის ხეობა), 22 აგვისტო. სოფელი ვანათი, რომელიც სძევს პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირს, ბუნებისაგან უხვად შემკულია. დასავლეთითა და სამხრეთით მშვენიერი ტყე უძევს, აღმოსავლეთით ჩამოუდის ანკარასავით წყალი პატარა ლიახვი, რომელმაც ბევრი კალმახი იცის. ამ მდინარის მარჯვენა ნაპირას, ერთ უშველებელ მაღალ კლდეზედ, აშენებულია ესრედ წოდებული დმენისის ციხე, რომელიც ამპარტავნულად გადმოსცქერის არამც თუ მარტო ვანათს, არამედ მთელის ხეობის სოფლებსაც. როგორც მიამბეს, ეს ციხე თამარ დედოფლის დროს ყოფილა აშენებული და აი ამ ციხეში შეუფარებიათ თურმე თავი დმენელებს და ვანათელებს შიშიანობის დროს. ციხეში ნახავთ იმისთანა ადგილებს, რომელნიც მოწმობენ ზემო ნათქვამს, მაგალითებრ,—ძველ მარანს რამდენისამე ქვევრით, პურის დიდს ორმოს, ორ ძველ ქვიტკირის ოთახს, რამდენსამე სათოფურებს და სხვ. ციხეს გარედგან აქვს რამდენიმე გამოქვაბული კლდეები, სადაც კაცი თავისუფლად მიტრიალ-მოტრიალდება. როგორც მოგვითხრობს ხალხის გარდმოცემა, უწინ, შიშიანობის დროს, ლეკები დასცემიან ამ ციხეს და, თუმცა ბევრსა სცდილან, მაგრამ ვერას გზით ვერ შესულიან. ბოლოს ერთს მოულოდნელს გარემოებას უშველნია მათთვის. აი საქმე რაში ყოფილა. ციხიდგან როგორღაც თვალი მოუკრავს ლეკების ბელადისთვის ერთის შეხიზნულთაგანის ცოლს, მოსწონებია და ძალიანაც შეჰყვარებია. სიყვარულით გატაცებულს ქალს ძაფის გორგლის წვერისათვის წერილი მოუბამს (ამ წერილში ქალი ბელადს სწერდა თურმე, რომ ამ ძაფის სიგრძე კიბე გააკეთეთ, მოადგით ციხეზედ და ისე ამოდითო), ციხიდგან ბელადისთვის ძირს ჩაუშვია და, როდესაც ძაფის წვერი ძირამდისინ ჩასულა, მაშინ გორგლისათვის ძაფი მოუწყვეტია. ლეკების ბელადს წერილი რომ წაუკითხავს, ძალიან გაჰხარებია, იმ ძაფის სიგრძე კიბე გაუკეთებინებია, მიუდგამს ციხეზედ და ამხანაგებით ციხეში ასულა შუაღამის დროს, როდესაც შეხიზნულთ ტკბილად სძინებიათ. შეუბრალებელს ლეკებს ყველა ციხეში მყოფთათვის ყელები დაუჭრიათ, გარდა ზემოხსენებულის ქალისა. ეს ქალი ბელადს ცოლად შეურთავს და თავისის ამხანაგებით ციხეში დაბინავებულა. რამდენისამე ხნის შემდეგ ამ ციხიდგან ლეკები სულ წასულან გარდა ცხრა ლეკისა, რომელთაც უოხრებიათ ახლო-მახლო სოფლები. იმათის შიშით გზაზედაც-კი ვერავის შესძლებია გავლა: ვისაც მოასწრობდნენ, უეჭველად მოჰკლავდნენ. ერთი თბილელი ვაჭარი გეურქ-ალა მარტოკა გულ-დანდობილი მოდიოდა თურმე სოფელ ჭარებს თავისის ცოლის შინ წასაყვანად (გეურქ-ალა ჭარებელი სიძე ყოფილა). როგორც მოახლოვებულა გეურქ-ალა ციხესთან, ლეკებს დაუჭერიათ, შეუკრავთ იმისთვის თოკით ხელ-ფეხი და ამ სახით ციხეში შეუყვანიათ და დაუგდიათ. საწყალს გეურქ-ალას დაუწყია ცხარე ცრემლით ტირილი და უთქვამს ლეკებისთვის: ახალი დაქორწილებული ვარ, ოღონდ ეხლა-კი ნუ მომკლავთ, გამიშვით და ღვთის ფიცს გაძლევთ, რომ ისევ მალე გამოვივლი აქეთკენ და მაშინ რაც გინდათ, ის მიყავითო. ბელადს გეურქ-ალასთვის ფიცი ჩამოურთმევინებია, გაუხსნევინებია ხელ-ფეხი და გაუშვია. მართლაც, გეურქ-ალა ჭარებიდგან მალე დაბრუნებულა თავისის ცოლით ტფილისისკენ და ციხესთან რომ მოსულა, ცხენი ცოლისათვის მიუცია და თითონ პირდაპირ ლეკებისკენ გაქანებულა. ლეკები, რასაკვირველია, მისცვივნიან გეურქ-ალას მოსაკლავად, მაგრამ გულადსა და გამბედავს გეურქ-ალას ლეკებისთვის აღარ დაუცლია: ერთის ლეკისათვის უცებ დამბაჩა დაუხლია და იქვე სული გაუყრევინებია; მეორე ლეკი თოფით მოუკლავს. რაკი ლეკები შეშინებულან, გეურქ-ალას უძვრია ხმალი და ექვსი ლეკი სულ ლუკმა-ლუკმა აუკუწნია. ამ დროს ბელადი ბუჩქის ქვეშ ყოფილა ამოფარებული და, როგორც შეუყენებია თოფის ჩახმახი ფეხზედ გეურქ-ალასათვის სასროლად, მას ეს უცებ შეუნიშნავს, დაუკრავს იმ წამსვე ბელადისათვის ხმალი ცერზედ და ცერი ტყავზედ დაკიდებულა. ბელადს, რასაკვირველია, თოფი ხელიდგან გავარდნია. გეურქ-ალას ბელადისთვის ცერი შეუხვევია, შეუსვამს ცხენზედ, ტფილისში ჩაუყვანია და იქ ცერი მოურჩენინებია. შემდეგ გეურქ-ალას გაუშვია ბელადი და უთქვამს: «ხომ ნახე ჩემი ბიჭობა! ეხლა წადი და სადაც შენი სთქვა, იქ ჩემიო».

ამ ჟამად ვანათში 75 კომლი მცხოვრები ითვლება. მცხოვრებლებს მარ-

---

ული დაჰყვა ზედ-გავლენას ცალკე იმ დროინდელ ევროპიის პოლიტიკისას, ცალკე მეცნიერების ახალ მცნებისას და ნამეტნავად რუსეთის წარჩინებულ რეფორმებისას. ბევრმა თერგ-დალეულთაგანმა შეიძინა თვალ-საჩინო სწავლა, ყოველმა მათგანმა ხომ შეიხორცა ახალი ჭეშმარიტება ადამიანის გათანასწორებისა, რომელსაც სათავეში ედგა ძალ-ღონე შემოყრილი მთავრობა რუსეთისა და ჰმეცადინეობდა ყმათა განთავისუფლებას. განთავისუფლების აზრებსა ჰქადაგებდა თვით მთავრობა, მარად სახსენებელი იმპერატორი ალექსანდრე მეორე თავისის პირით არწმუნებდა თავად-აზნაურობას, რომ სამართლიანობა მოითხოვსო ყმასაც მივცეთ თანაბარი უფლება ცხოვრებისაო. ამისთანა დროს ყოველი კეთილ-სინიდისიერი კაცი თავის მოვალეობადა სთვლიდა საქვეყნოდ ეღიარებინა სიყვარული და მომხრეობა ახალის აზრებისა.

**

აზრი და სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა რუსეთში და უმეტესად რუსეთის უნივერსიტეტში. ჩვენმა თერგ-დალეულებმა თითქმის ყველამ დაიმთავრეს უმაღლესი განათლება და დაბრუნდნენ სამშობლოში ახალის იდეალებითა და საზოგადოებრივის მისწრაფებით. თერგ-დალეული წაახალისა თავისუფლების ქადაგებაში არა მარტო რუსეთის დაწინაურებულმა სწავლულმა და მოსწავლე საზოგადოებამ, არამედ თვით მთავრობამაც. ეს ხალისი გამოჰყვა სამშობლოსაკენაც, რომელიც ძალიან ჩამორჩენილი იყო აზრის მოძრაობას და ნამეტნივად ახალ აზრების აღებ-მიცემას. იმ დროს ბატონ-ყმობა დაურღვეველ წეს-წყობილებად მიაჩნდა ჩვენს ხალხს და უკეთესნი წარმომადგენელნი ქართველთა აზრისა შიშითა თრთოდნენ, როცა-კი ყურს მოჰკრავდნენ სადმე, რომ ბატონს ყმა უნდა ჩამოართვანო. კარგა ხანს გაევლო მას შემდეგ, რაც ჩვენი აზრი ერთობ მიძინებული იყო და ჯერ ვერ აეწივნა წელი იმის შემდეგ, რაც უწინდელი საქმე გამოსცლოდა ხელიდამ ქართველს კაცს. ჯერ ისევ გაშტერებულის თვალით შეჰყურებდა ჩვენი აზრი ქართველის მდგომარეობის უცხოობას და არ ესმოდა, საით უნდა გადაედგა ნაბიჯი. იმის მეტი აღარა იყო-რა მაშინდელის ქართველის აზრისათვის, რომ ჩვენ ყველანი ქართველები ვართ და უნდა გვიყვარდეს ჩვენი ქვეყანაო. ყოველი ჩვენი საზოგადო საგანი იმ დროს იწყებოდა ამ ჭეშმარიტებით და თავდებოდა ამითივე. გარეშე ამ ჭეშმარიტებისა თითქმის აღარა არსებობდა-რა მაშინდელის დაწინაურებულის ქართველისათვის. პოლიტიკაში იშვიათი ვინმე თუ ადევნებდა თვალ-ყურს იტალიის საქმეებს, თორემ დაწინაურებულთ უმრავლესობისათვის თვით იტალიის არსებობაც საეჭვოსა და გაუგებარს ამბავს შეადგენდა. რაიცა შეეხება რუსეთის ნაბიჯს ყმათა განთავისუფლებისას, ჩვენში ეს აზრი ყველას ასხავდა შიშის ზარს, და ხომ მოგეხსენებათ, რომ შიშის დროს ძნელად გაარჩევს კაცი ჭეშმარიტებას სისულელისაგან და მართალს ტყუილისაგან.

ასეთი მოუმზადებელი საზოგადოება დახვდა წინ ჩვენს თავისუფალ მოაზრე თერგ-დალეულს, რომელიც მოსვლისათანავე შეუდგა თავისის აზრების გავრცელებასა და გაბნევას ხალხში. ახალი კაცები და ახალი მცნება პირის-პირ შეჰხვდნენ ძველს კაცებსა და ძველს მცნებას. შეხვედრისათანავე მოჰყვა შეტაკება, ბრძოლა. ახალი კაცები ბევრში სრულებით აღარა ჰგავნდნენ ძველებს და სწავლით ძალიანაცა სჯარბობდნენ თავიანთ მამებს. ბატონ-ყმობა მეტად დამამცირებელი და მავნეაო, გაიძახოდნენ ახლები წინააღმდეგ ძველებისა, რომელთა თვალშიაც ამაზე ბრძნული წყობილება სხვა არა ეკურთხებინა რა განგებას. ამიტომ რომელი ქართველიც მონატრე იყო ყმების განთავისუფლებისა, იგი ძველის თვალში უნდა გამხდარიყო მტერი ქვეყნისა, ღვთისა და კანონისა. ბრძოლაში ახლები არა ჰზოგავდნენ ძველებსა და უკანასკნელნი პირველებს...

**

გარემოებისა-და მიხედვით ჩვენ ეღარ წავალთ შორს და ვერ აგიწერთ დაწვრილებით, იმ განხეთქილებას, რომელიც ჩამოვარდა ძველთა და ახალთა შორის. ვიკმაროთ მხოლოდ ის, რომ თერგ-დალეული ჩამოვიდა რუსეთიდამ თავისუფალ მოაზრედ და საკუთარს ცხოვრებაში, თუ საზოგადო მოღვაწეობაში შეძლებისამებრ ჰხელმძღვანელობდა იმ იდეალებით, რომელნიც შეითვისა უნივერსიტეტში ყოფნისას. აგრეთვე გაკვრით უნდა მოვიხსენიოთ ის ყოვლად მნიშვნელობიანი ამბავი, რომ ჩვენში მხოლოდ თერგ-დალეულმა დაჰბადა ფართო აზრი საზოგადოებრივის მოღვაწეობისა. მაშინ-როდესაც თერგ-ადლეულთა წინაპართ არ იცოდნენ, როგორ უნდა გაენძრიათ ხელი, და თვით მამულის სიყვარულის საქმეებში იმის მეტს არასა თხოულობდნენ, რომ ქართველ კაცსა ჰყვარებოდა სამშობლო და გულში სცოდნოდა, რომ იგი ქართველის შვილია; იმ დროს გათამამებული თერგ-დალეული არა თუ ჰგრძნობს, რომ იგი ქართველია და მამულის სიყვარული აუცილებელია მისთვის, არამედ იგი თავისუფალი მოაზრეა და თავის საგნად გაუხდია საზოგადო საქმე, ქვეყნის სამსახური. თერგ-დალეულმა იცის, რომ მამულის სიყვარული ცარიელი სიტყვა და დამარხული გრძნობა-კი არ არის, არამედ იგი არის სავსე აზრითა და ადებს კაცს წმინდა მოვალეობას, რომლის შეუსრულებლობა იმას მოასწავებელია, რომ კაცს ან არ უყვარს სამშობლო, ან უყვარს მხოლოდ ფიზიკურის სიყვარულით.

ერთის სიტყვით, თერგ-დალეულმა თავისის ცხოველის სიტყვით გააგებინა საზოგადოებას, რაშიაც უნდა მდგომარეობდეს მართალი სიყვარული მამულისა, თერგ-დალეულმა აღძრა ჩვენში საზოგადოებრივ მოღვაწეობის პატივისცემა, თერგ-დალეულმა გააღვიძა ჩვენს ხალხში წყურვილი სწავლა-მეცნიერებისა, და გაგვიცხოველა სურვილი უკეთესის ცხოვრების გაგებისა და შეთვისებისა.

ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, რამდენი ნაბიჯიც გადასდგა ქართველმა ერმა ამ მხრივ, რამდენად გაგვიჯდა ძვალსა და რბილში წყურვილი ევროპიულ განათლების შეთვისებისა, მეცნიერების შეძენისა, საზოგადო საქმის სიყვარული და გაძლოლა. თერგ-დალეულმავე აადგმევინა ფეხი ჩვენს უსუსურს მწერლობას და ასე თუ ისე ჩააყენა კვალში. აი მთელი ღვაწლი თერგ-დალეულისა სამშობლოს მიმართ.

შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ იმაზედ, თუ როგორი ოჯახობრივი და საზოგადოებრივი გარემოება ჰქონდა შემდგომს თაობას, როგორ სწავლობდა, რა აზრს დაადგა ცხოვრებაში, რა გააკეთა უკვე, რას აკეთებს და ან რას უნდა მოჰკიდოს ხელი.

სანო

ტოთ გლეხები შეადგენენ, არც ერთი კომლი თავად-აზნაური არა სცხოვრებს. ვანათელი გლეხები თითქმის ხვნა-თესვით სცხოვრებენ, რადგანაც აქაურის ნაყოფიერის მიწას ნიადაგი თავისის უხვის პირნახულის მოსავალით საკმაოდ აჯილდოებს მხვნელ-მთესველს. თუმცა სოფელში შიგა-და-შიგ ვენახებიც არის, მაგრამ ამ ვენახების ღვინო ძალიან მჟავე დგება. რასაკვირველია, ამისთანა მდარე ღვინოს გლეხები შინვე სმენ და გარეთ გასასყიდად არას დროს არ გააქვთ. ზოგიერთი გლეხი კირის დაწვასაც მისდევს და ამით კარგი სარგებლობა აქვს, რადგანაც თითო ურემს კირს ადგილობრივ ორ სამ მანათად ჰყიდის...

მოგეხსენებათ, რომ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებას ვანათში ერთ კლასიანი სამრევლო სკოლა აქვს გამართული. ამ სკოლაში $188^{7}/_{8}$ საანგარიშო წელს სწავლობდა სულ 42 მოსწავლე: 37 ვაჟი და 5 ქალი. ამათ შორის 25 ოსი იყო და 17 ქართველი. წელს, ივნისში, სწავლა დაამთავრა სამმა მოსწავლე ყმაწვილმა; სამთავენი ოსები არიან.

ამას წინად ვანათის სკოლაში ბრძანდებოდა დასათვალიერებლად ბ-ნი სამრევლო სკოლების ინსპექტორი. ბ-ნს ინსპექტორს აქაურმა გლეხებმა შესჩივლეს თავიანთი სიღარიბე და მოახსენეს, რომ გორის მაზრის სახელმწიფო ტყეების „ლესნიჩი“ არ გვანებებს შეშას სკოლისთვის ჩვენის სოფლის ახლო მდებარე სახელმწიფო ტყიდგან „უშალბაშოდ“ და, რადგანაც ღარიბნი ვართ და არ შეგვიძლიან ტყის ფულის ძლევა, ამისათვის გთხოვთ რაიმე შემწეობა მოგვცეთ ამ საქმეშიო. მაშინ ბ-ნმა ინსპექტორმა გლეხებს ურჩია, რომ უნდა სთხოვოთ მაზრის უფროსს, რომ იმან იშუამდგომლოს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოს წინაშე, რათა თქვენ ნება მოგეცეთ ხსენებულის ტყიდგან სკოლისათვის უსასყიდლოდ შეშის გამოტანისაო. გლეხებს მოეწონათ ბ-ნის ინსპექტორის აზრი და იმისის რჩევით უკვე მირთმეულია თხოვნა ამ საქმის თაობაზედ ბ-ნ გორის მაზრის უფროსთან ზემოხსენებულის სკოლის მზრუნველისაგან. ღმერთმან ინებოს, რომ ეს თხოვნა შეიწყნაროს, ვისიც ჯერ არს, და ამით დაიხსნას ჩვენი უიმისოდაც ღარიბი გლეხები ზემოხსენებულის გაჭირებისაგან...

ზ. ოქუაშვილი

## წვრილი ამბები

მეტად ახირებულს სამუსიკო იარაღს აგვიწერს ვენელი კორრესპონდენტი გაზ. „Моск. Вѣд.“-ისა. ამ მუსიკას ეწოდება „Orchestro Militaire-Electro-Moteur“-ი და შეთხზულია ვიღაც ბალკენბახის მიერ, 45 წლის კაცისაგან. აგერ დაჯდა ამ პიანინოსავით იარაღზე და დაუწყო სხვა-და-სხვა ღილების ხელების თამაში. ამასთანავე ზემოდგან ელექტრონული ნაპერწკლები სცვივა. საზოგადოება ცქერად და სმენად გარდაიქცა. იწყება მუსიკა ურუდ, არეულად. უეცრივ დარბაზის მეორე მხრიდგან მოისმის სასიამოვნო მელოდია კორნეტ-ა-პისტონისა! ჯერ გონებაზედ არ მოსულხართ და ამ სიამოვნებით სრულიად არ დამტკბარხართ, რომ ახლა დარბაზის მესამე კუთხეში გაისმის ახირებული, სულ სხვა გვარი ჰანგი. ცოტ-ცოტა და ოთახის ყველა კუთხიდგან მოისმის სხვა-და-სხვა სამუსიკო იარაღთა დაკვრა ათას გვარს ჰანგზედ. გაოცებული საზოგადოება ხან აქეთ იხედება, ხან იქით და ძლივს მიჰხვდება, რომ ალბად კედლებში იარაღია და ელექტრონის საშუალებით ამოძრავებენო. მაგრამ აგერ დარბაზში სინათლემ იკლო. დარბაზის ერთს კუთხეში სინათლე გამოჩნდა და ყველანი მიახედა, ყველას ყურადღება დაიმსახურა. მაღალს კედელზედ მოსჩანს კათოლიკეთა ნიში, ფანჯრებიდგან სინათლე გამოდის, კედელს იქიდგან მწუხარე და სევდიანი ჰანგი მოისმის. ნიში ბრუნავს და საზოგადოება იხედება გაღებულს კარებში: შავს საფლავის ქვაზედ თეთრი ჯვარია ამართული და ზემოდგან ამ ძეგლს ელექტრონული სინათლე დაჰნათის ვარსკვლავსავით. მელოდია შესწყდა. სადღაც შორს, შორს მოისმის სამგლოვიარო მარში... ყველანი მოხიბლულნი არიან, აღტაცებით ისმენენ... უეცრად ყველა შეკრთა: გაისმა საშინელი ზრიალი, თითქოს პატარა ზარბაზნები დასცალესო. დარბაზში რაღაც საოცარი ამბავი ხდება: ჰაერში ცეცხლის ნაპერწკლები დაფრინავს, სხვა-და-სხვა კუთხიდგან დოლის ხმა მოისმის, ზოგგან მუსიკა ნაღვლიანად ზუზუნებს. კედელს იქიდგან მოისმის არეული ხმა, თითქო ჩხუბობენო. უეცრად მთელი საზოგადოება ფეხზედ წამოხტა: სტოლის ქვეშიდგან გაისმა — „დედა, დედა!“ ამის პასუხად მეორე სტოლიდგან ჯოჯოხეთური ხარხარი და ხითხითი ჰხმაურობს. გაოცებული და შეშინებული საზოგადოება აქეთ-იქით იხედება გონებადაბნეული, დედანი თვალებ-გაშტერებულნი სდგანან. ამოანათდა ვარსკვლავი, ყველანი დამშვიდნენ, საზოგადოება დაწყნარდა. ერთის წუთის შემდეგ დაიწყეს ტაშის ცემა: ბალკენბახმა დაკვრა გაათავა და წავიდა.

— ვენის ერთს სასამართლოში ამას წინად ერთის დედაკაცის საქმე გაურჩევიათ. ამ ადამიანს ის ბრალი ედებოდა თურმე, რომ მათხოვრობდა. სასამართლოს ერთის დღე-ღამით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯავს. ამ გარდაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მათხოვარას უთქვამს მოსამართლისათვის:

„— ბ-ნო მოსამართლევ, გთხოვთ ნება დართოთ ჩემს ქმარს, რომ ჩემ მაგიერ იმან გადაიხადოს ეს სასჯელი.

„— შეუძლებელია, რადგან სასჯელი თვით დასჯილს უნდა გარდახდეს.

„— მაშ, რაკი ეგრეა, ციხე ფულის ჯარიმად შემიცვალეთ.

„— შეიძლებაო, დათანხმებულა მოსამართლე: მაგრამ აბა სად იშოვნით ფულს, რომ ჯარიმა გადაიხადოთ?

„— ო, მაგაზედ ნუ შესწუხდებით, დღესვე იმდენს ვიშოვნი მათხოვრობით, ბ-ნო მოსამართლევ, რომ ჯარიმას გარდა მეც დამრჩეს ფულიო.

— ბერლინელებს ახალი საშუალება მოუგონიათ საიდუმლო მიწერ-მოწერისათვის. მაგალითებრ, თუ მარკა წერილის ზემოდ მარჯვენა მხარეს არის სწორედ დაკრული, ჰნიშნავს: „მე თქვენი მეგობრობა მსურს“, თუ იქვე მიკრული დაწვენით — „გიყვარვართ, თუ არა“, იქვე დაკრული უკუღმა — „ნუღარას მომწერთ“, როცა მარკა მარჯვენა მხარის ქვემო კუთხეშია დაკრული — „თქვენის სიყვარულით აღტაცებული ვარ“, თუ მარჯვენა მხრივ ზემო კუთხეშია უკუღმად დაკრული — „მე თქვენ მიყვარხართ“, თუ იქვევე გარდიგარდმო — „ჩემი გული სხვას ეკუთვნის“, თუ უკუღმაა იქვე — „გამარჯობით, ჩემო მეგობაროო“! და სხვანი.

— ლონდონის ერთს ახირებულს კაცს მოუწადინია იმისი გაგება, თუ რამდენს ხანს მოივლის წერილი ქვეყნის გარშემო და გაუგზავნია ბრინდიზით და სუეზით გონ-კონგომდე წერილი ზედ-წარწერით, რომ უკანვე ლონდონში გამოგზავნეთ სანფრანცისკოსა და ნიუ-იორკზეო. წერილის მოგზაურობას 70 დღე მოუნდომებია, ე. ი. ორმოცის დღით უფრო ნაკლები, რადგან ამისთანა მოგზაურობას ამ ათის წლის წინად 110 დღე უნდებოდა. ამ წიგნზე სულ სამი შაური დაჰხარჯვია.

— „New-York Gerald“-ში დაბეჭდილია საყურადღებო ეტიუდი იმის გამო, თუ რამდენი ხარჯი აქვს სულთანს მთელის წლის განმავლობაში. მოგვყავს მხოლოდ ჩვეულებრივი ხარჯი:

| | მილ. ფრან. |
|---|---|
| ვეჟის გადაკეთება და ოთახების მორთულობა | 15 „ |
| ტანისამოსი, წვრილმანი და ქალების ფერ-უმარილი | 50 „ |
| სხვა-და-სხვა ხარჯი | 65 „ |
| საკუთრად სულთანის ტანისამოსი და მორთულობა | 10 „ |
| საჩუქრები და ჯილდონი | 20 „ |
| ვერცხლისა და ოქროს ჭურჭელი | 13 „ |
| ცხენების შენახვა და 474 ეტლისა | 2 „ |
| სამზარეულო | 25 „ |

სულ 200 მილ.

საყურადღებო ის არის, რომ ყოველ დღე სულთანის ხარჯზე სამჯერა სჭამს თურმე პურს სტამბოლში 6 ათასი კაცი და ამასთან ისე, რომ ვინ რა დროსაც მოინდომებს, მაშინ შეუძლიან პური მიირთვას.

## დეპეშა

26 აგვისტო

ბელგრადი. ბერლინიდამ მრავალს დეპეშებსა სწერენ დედოფალს ნატალიას და ულოცავენ დღეობას. ბელგრადში მშვიდობიანობა სუფევს.

დედოფალი ნატალია ხვალ აპირებს წასვლას სინაის და იქ ჰნახავს რუმინიის მეფესა და დედოფალს.

რისტიჩის გაზეთი «დამოუკიდებლობა» ჰკიცხავს მთავარ-მინისტრს ხრისტიჩს და თავისს წერილს შემდეგის სიტყვით ათავებს: „გაგვშორდი, სისხლის მსმელო! გაფრთხილდი, რომ მოთმინებიდამ არ გამოვიდეთ! ნუ იკვეხი შენს ლავწლს ტახტისა და სამშობლოს წინაშე. ის ჩირქი, რომელიც მოგეცხო ტოფჩიდერის უბედურების შემდეგ, გაგამტყუნებს და გაგაშავებს საზოგადოების თვალში“.

სოფია. ავაზაკების ბრბომ კვლავ შეიპყრა სამი შეძლებული მოქალაქე. იმ ავაზაკთა ბრბოდამ, რომელთაც დაიჭირეს ყარა სტიანოვი, ოთხნი უკვე შეიპყრეს.

27 აგვისტო

პეტერბურგი. ბ-ნი მინისტრი უმაღლესის კარისა ტელეგრაფით იუწყება, რომ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა, მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდნი მთავარნი გიორგი და ვლადიმირ ალექსანდრეს ძენი მობძანდნენ გუშინ ნაშუადღევს ექვსს საათზე ელისავეტოგრადს, დიდი მთავარი, მიხეილ ალექსანდრეს ძე და მათნი უმაღლესობანი ქსენია და ოლგა ალექსანდრეს ასულნი წავიდნენ ლივადიას.

სახელმწიფო ბანკი აცხადებს, რომ ამიერიდამ, სანამ ცვლილება მოხდებოდეს, ის აიღებს ექვსის თვეის ვადით გაცემულ თამასუქების განაღდების დროს და იმ სპეციალურს მიმომდინარე ანგარიშებზე, რომელიც თამასუქებით არის დახათრიჯამებული, ექვსს ნაასალს წლის თავზე, იმ თამასუქების განაღდების დროს-კი, რომელიც გაცემულია ექვსს თვეზე უფრო დიდის ვადით, მაგრამ არა უდიდეს ცხრა თვეისა, $6^{1}/_{2}\%$. ამასთანავე იმასაც აცხადებს, რომ სექტემბერიდამ უვადოდ შეტანილს ფულზე წლის თავზე $3\%$ იქმნება შემატებული.

პეტერბურგის ბირჟა, 26 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7 87 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | $157^{1}/_{2}$ |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | 1 23 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 265 | — „ | — „ |
| —მეორისა | — „ | — „ | 247 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | 98 | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | 98 | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | 83 | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

28 დღე კვირა. წმ. შუშანიკისა. კათოლ. ავგუსტინასი. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.— ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—33, ჩადის 6—21. მთვარე 4 დღისაა.

29 დღე ორშაბათი. იოანე წინამორბედის თავის მოკვეთა. კათოლ. იგივე. სომეხ. წმ. სტეფანესი. მუსულმ. მე-4 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 5—34, ჩადის 6—19. მთვარე 5 დღისაა.

30 დღე სამშაბათი. გადატანა ნაწილთა წმ. ალექსანდრე ნეველისა. კათოლ. ფელიქსესი. სომეხ. წინასწარმეტყ. იეზეკიელისა. მუსულმ. მე-5 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—სახელ-წოდებამისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა ხელმწიფე იმპერატორისა ალექსანდრე ალექსანდრეს ძისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—35, ჩადის 6—17. მთვარე 6 დღისაა.

31 დღე ოთხშაბათი. გადატანა ყოვლად-წმიდა ღვთის-მშობლის სარტყლისა. კათოლ. რაიმუნდასი. სომეხ. მარხვაა. მუსულმ. მე-6 რიცხვი თთვისა მაგარამისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 5—35, ჩადის 6—15. მთვარე 7 დღისაა.


## განცხადებანი

ამ 1888 წლის ენკენისთვისათვის სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში 40 ვაკანსია იქმნება; მეორე, მესამე და მეოთხეში ვაკანსია არ არის. მსურველთა თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 20 აგვისტოდამ 27-ღე და თან უნდა წარმოადგინონ წლოვანებისა, აზნაურობისა და ბანკის მოწმობა, რომ მოსწავლის მშობელი (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება. ვისაც ქუთაისის სააზნაურო სასწავლებლის 1 განყოფილების ვაკანსია არა ხვდება, შეუძლიანთ სენაკის სააზნაურო სკოლის თავისუფალს ვაკანსიებს მოჰმართონ 15 სექტემბრამდე.

სასწავლებლის ინსპექტორი ს. გ. ყიფიანი

(5—1)

სასწავლებელი და პანსიონი

ი. რ. მრევლიშვილისა

ნიკოლ. ქ., სახლი № 21, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ამზადებს ბავშვებს ყოველ საშუალო სასწავლებლებისათვის. დაწვრილებითი პირობანი მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ თვით სასწავლებელში. სწავლა დაიწყება 1-ს სექტემბერს. (10—4)

სკოლა და პანსიონი!

მ. ა. ნასიძისა

(კუკიაში, ელისაბედის ქუჩაზედ, თ. ანდრონიკაშვილის სახლებში, № 93)

ამზადებს ბავშვებს გიმნაზიის, რეალურ და საქალაქო სასწავლებლის პირველს კლასისათვის. გარედამ მოსიარულე მოწაფენი იხდიან თთვეში 5 მანათს, პანსიონში მცხოვრებნი 25 მანათს. (10—5)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის.

წელიწადი მეშვიდე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვაჭრიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1888—89 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა სააანგარიშო ჩოთქითა, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყობა 25 სექტემბრიდამ; ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყება 15 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს ტფილისს. (12—3)


Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Августа 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи). на Гол. просп. д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე